საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/251 "18" სექტემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" მე-9 მუხლის „უ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი".
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 10 მარტის №1/28-2006 გადაწყვეტილება.
3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2017 წლის 18 სექტემბრის № 1/251
გადაწყვეტილებით

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში (შემდგომში - სასამართლო) სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესსა და პირობებს.

2. ამ წესით გათვალისწინებული დებულებები გამოიყენება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში (შემდგომში - საბჭო) სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის შემთხვევაში.

მუხლი 2. სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის მიზანი

სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის მიზანია სასამართლოს საქმიანობის სათანადო ეფექტიანობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და სრულყოფა, დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობების შექმნა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება - სასამართლოს აპარატში ამ წესით რეგულირებადი, ანაზღაურების გარეშე საქმიანობა;

ბ) სტაჟიორი - პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სტაჟირებას;

გ) სასწავლო პრაქტიკა - ერთი მხრივ, სასამართლოსა და მეორე მხრივ, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე და ფარგლებში, შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის არაანაზღაურებადი საქმიანობა სასამართლოს აპარატში;

დ) პრაქტიკანტი - პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად გადის სასწავლო პრაქტიკას;

ე) კანდიდატი - საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ამ წესის შესაბამისად სასამართლოში შეაქვს განცხადება სტაჟირების გავლის თაობაზე;

ვ) უშუალო ხელმძღვანელი - სასამართლოს საჯარო მოხელე, რომლის უშუალო დავალებებს ასრულებს სტაჟიორი და პრაქტიკანტი.

მუხლი 4. სტაჟიორთა მიღების წესი

1. სტაჟიორად შეიძლება დაინიშნოს:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი;

ბ) დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა კურსის სტუდენტი.

2. სტაჟიორთა მიღება ხორციელდება კონკურსის წესით.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსის წარმატებული კურსდამთავრებული მიიღება სასამართლოს მენეჯერთან გასაუბრების საფუძველზე.

4. „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების საფუძველზე სტაჟიორი სასამართლოში მიიღება კონკურსის გარეშე.

5. სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის პროცესის საერთო კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

თავი II. სტაჟირების კომისია

მუხლი 5. სტაჟირების კომისია

1. სტაჟიორების შერჩევის და მათი შემდგომი საქმიანობის განსაზღვრის მიზნით იქმნება სტაჟირების კომისია (შემდგომში - კომისია).

2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისაგან.

3. კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

4. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საბჭოში - საბჭოს მდივანი. სასამართლოს თავმჯდომარესთან/საბჭოს მდივანთან შეთანხმებით, კომისიის წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას მას ცვლის თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კომისიაში შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა.

მუხლი 6. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) განსაზღვრავს კონკურსზე მისაღები სტაჟიორების რაოდენობას;

ბ) განსაზღვრავს კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას;

გ) ნიშნავს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს;

დ) ნიშნავს კომისიის მდივანს;

ე) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

2. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

3. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით. ოქმს ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.

5. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაერთვის ოქმს.

თავი III. სტაჟირების კონკურსი

მუხლი 8. სტაჟირების კონკურსის გამოცხადება

1. კომისია კონკურსს აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს კომისიის მიერ განსაზღვრული წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, სტაჟიორთა კონკურსის თემატიკისა და კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 9. სტაჟირების კონკურსის ეტაპები

1. სტაჟირების კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: განცხადებების გადარჩევა და გასაუბრება. კომისიის გადაწყვეტილებით გასაუბრებასთან ერთად შეიძლება ჩატარდეს ტესტირება.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში. კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია საბუთების მიღების ვადის გაგრძელება.

3. კანდიდატს გასაუბრების დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ჩატარებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 2 დღით ადრე, ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

4. კონკურსის თითოეული ეტაპის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა, კანდიდატს ეცნობება შესაბამისი ეტაპის შედეგი სასამართლოს ვებ-გვერდის საშუალებით.

მუხლი 10. სტაჟიორების შერჩევა

1. სტაჟირების კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატი ინდივიდუალურად ფასდება.

2. კომისია კანდიდატებიდან არჩევს საუკეთესო ცოდნის, გამოცდილებისა და შედეგების მქონე პირებს და ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის მიზანშეწონილობის თაობაზე.

3. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით კომისია სასამართლოს თავმჯდომარეს/საბჭოს მდივანს წარუდგენს მონაცემებს იმ სტაჟიორობის კანდიდატთა შესახებ, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსი.

4. სასამართლოში კანდიდატის სტაჟიორად ნიშნავს სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოში - საბჭოს მდივანი ან მისი დავალებით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 11. დამატებითი დოკუმენტაცია

1. სტაჟიორობის კანდიდატმა კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კონკურსის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში სასამართლოს დამატებით უნდა წარუდგინოს:

ა) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

ბ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს სტაჟირების შეწყვეტის საფუძველს.

თავი IV. სტაჟირების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

მუხლი 12. სტაჟირების ვადა

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 6 თვით. სტაჟირების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს სტაჟიორის განცხადებისა და მისი უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე არაუმეტეს 6 თვით. სტაჟირების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

2. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში (სასამართლოს მენეჯერისა და უშუალო ხელმძღვანელის შეფასების საფუძველზე) სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების სერტიფიკატი.

3. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში სტაჟიორს ეძლევა ცნობა სტაჟირების გავლის შესახებ. ცნობაში ასევე აღინიშნება სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის მიზეზი.

მუხლი 13. სტაჟირების ვადამდე შეწყვეტა

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 ან ჯამში 7 დღის განმავლობაში სასამართლოში გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება;

ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

გ) ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა;

დ) პირადი განცხადება;

ე) სტაჟიორის თანამდებობაზე დანიშვნა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოში - საბჭოს მდივანი ან მისი დავალებით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

თავი V. მიღება სასწავლო პრაქტიკაზე

მუხლი 14. მიღება სასწავლო პრაქტიკაზე

1. პრაქტიკანტად მიიღება პირი საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე.

2. შესაბამისმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

ა) წერილობითი მიმართვა სასწავლო პრაქტიკის გავლის თაობაზე;

ბ) პრაქტიკანტის ავტობიოგრაფია ან რეზიუმე;

გ) პრაქტიკანტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

დ) პრაქტიკანტის ერთი ფოტოსურათი (3X4).

3. სასწავლო პრაქტიკის ვადა განისაზღვრება 2 თვით. შესაძლებელია აღნიშნული ვადის გაგრძელება პრაქტიკანტის განცხადებისა და მისი უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე არაუმეტეს 4 თვით.

4. პრაქტიკის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

თავი VI. სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 15. სასამართლოს როლი

1. სასამართლო სტაჟიორს უქმნის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების სათანადო პირობებს.

2. უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს სტაჟიორის პროფესიულ განვითარებაზე. უშუალო ხელმძღვანელი ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას, აწვდის სასწავლო თემატიკას, აძლევს მიმართულებას და დავალებებს. დაუშვებელია უშუალო ხელმძღვანელის მხრიდან სტაჟიორისთვის მიცემული ტექნიკური ხასიათის დავალებების წილი აღემატებოდეს სტაჟიორის მთლიანი საქმიანობის ნახევარს.

3. სტაჟირების დასრულების შემდეგ უშუალო ხელმძღვანელი სტაჟიორის შეფასებას წარუდგენს სასამართლოს მენეჯერს, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს. სტაჟირების დასრულების შემდეგ სტაჟიორი უშუალო ხელმძღვანელისა და სტაჟირების სისტემის შეფასებას წარუდგენს სასამართლოს მენეჯერს, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს. უშუალო ხელმძღვანელისა და სტაჟიორის შეფასებები კონფიდენციალურია.

მუხლი 16. სტაჟიორის უფლებები

სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე სასამართლოს რესურსების (საარქივო მასალები, ბიბლიოთეკა, სასწავლო აქტივობები და სხვა) მართლზომიერი გამოყენების მეშვეობით;

ბ) გაეცნოს სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის, აგრეთვე, კონკრეტულ სფეროს მიკუთვნებულ საკითხების მომზადებისა და სათანადო დოკუმენტების შედგენის სპეციფიკას;

გ) დააყენოს დასაბუთებული წინადადება სასამართლოს სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანის შესახებ.

მუხლი 17. სტაჟიორის ვალდებულებები

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) გაეცნოს საერთო სასამართლოების საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას და მასზე დაკისრებული დავალებების შესრულებისას, იხელმძღვანელოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით;

ბ) დაიცვას სასამართლოს შინაგანაწესი;

გ) დადგენილ ვადებში შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელისა და სასამართლოს მენეჯერის ყველა სამსახურებრივი დავალება.

2. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სტაჟიორს შესაძლებელია განესაზღვროს სასამართლოში გამოცხადებისა და ყოფნის განსხვავებული წესი სასამართლოს მენეჯერის, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით.

მუხლი 18. პრაქტიკანტის უფლებები და მოვალეობები

პრაქტიკანტის მიმართ ვრცელდება ამ წესის მე-15-მე-17 მუხლებით გათვალისწინებული დებულებები.